



გამომცემლები

პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ჰაინერ ალვარტი გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, დოქტორი აქსელ ბოეტციხერი პროფ. დოქტორი, საპატიო დოქტორი ოთარ გამყრელიძე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი ვიცე პრეზიდენტი, დოქტორი ბურკჰარდ იენკე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე, პროფ. დოქტორი დავით სულაქველიძე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი მერაბ ტურავა პროფ. დოქტორი ედვარდ შრამი პროფ. დოქტორი ბერნდ ჰაინრიხი პროფ. დოქტორი მარტინ ჰეგერი

მთავარი რედაქტორი

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა), (თსუ), საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე

შინაარსი

სტატიები

COVID-19 და ქართული სისხლის სამართლის გამოწვევები

ასისტენტი *ანრი ოხანაშვილი* LL.M. (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე /დოქტორანტი *ბაჩანა სურმავა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

11

წიგნების რეცენზიები

გიორგი თუმანიშვილი/ბაჩანა ჯიშკარიანი/ედვარდ შრამი – „ევროპული და საერთაშორისო სამართლის გავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე“ (850 გვერდი, თბილისი 2019, ISBN 9789941259005)

სამართლის დოქ. *მარტინ პიაცენა*

18





სარედაქციო კოლეჯია

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი
ბრემენის მიწის სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე
ყოფილი მოსამართლე, დოქ.

ბერნდ ასბროკი

ბრემენის რაიონული სასამართლოს

ვიცე-პრეზიდენტი ელენ ბესტი

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი

მოსამართლე, დოქ. აქსელ ბოეტციხერი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი

თავმჯდომარე, პროფ. დოქტორი ნინო გვენეტაძე

ასოცირებული პროფ. დოქ. ირაკლი დვალიძე

პროფ. დოქ. მარტინ პაულ ვასმერი

ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი

LL.M. (ბერლინი)

გერმანიის ფედერალური სასამართლოს ყოფილი

ვიცე პრეზიდენტი, დოქ. ბურკჰარდ იენკე

ადვოკატი დავიდ კონრადი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი

მოსამართლე, პროფ. დოქ. თამარ ლალიაშვილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე,

ასოცირებული პროფ. დოქ. ლავრენტი მალლაკელიძე

პროფ. დოქ. ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი LL.M.

(ფრაიბურგი)

ასისტენტი ანრი ოხანაშვილი LL.M. (იენა)

დოქ. ანეკე პეტცსე MSc (ოქსფორდი)

დოქ. მარტინ პიაცენა

დოქ. ეროლ პოლრაიხი

სამეცნიერო რეფერენტი მაქს-პლანკის სახელობის

დანაშაულის, უსაფრთხოებისა და სამართლის

შესწავლის ინსტიტუტში, დოქ. იოანა რინჩიანუ LL.M.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი

მოსამართლე, პროფ. დოქ. დავით სულაქველიძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს

თავმჯდომარე, პროფ. დოქ. მერაბ ტურავა

ასოცირებული პროფ. მორის შალიკაშვილი LL.M.

(ჰამბურგი)

პროფ. დოქ. ედვარდ შრამი

ასისტენტი-პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

ასისტენტი-პროფ. დოქ. ლევან ხარანაული

ასისტენტი-პროფ. დოქ. მაკა ხოდელი LL.M. (ფრაიბურგი)

ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M.

(მიუნხენი)

პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი

პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის

გერმანული ფონდის (IRZ) სამხრეთ-აღმოსავლეთ

ევროპა II და სამხრეთ კავკასიის პროექტების

ხელმძღვანელი ფრანკ ჰუფველდი

ჟურნალის 2020 წლის მეორე გამოცემის სამუშაო ჯგუფი

თარგმანი:

მარიკა ტურავა LL.M. (ჩიკაგო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება ქართულ ენაზე და
თარგმანის კორექტირება:

ლევან კასრაძე LL.M. (ოსლო), ჟურნალის სამუშაო
ჯგუფის წევრი

სამეცნიერო რედაქტირება გერმანულ ენაზე და
თარგმანის კორექტირება:

სამართლის დოქ. მარტინ პიაცენა

2020 წლის მეორე გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი
და საბოლოო რედაქციული კონტროლი:

ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ასისტენტი ანრი
ოხანაშვილი LL.M. (იენა), ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა
კომიტეტის თავმჯდომარე

ტექნიკური მხარდაჭერა: გვანცა მახათაძე

COVID-19 და ქართული სისხლის სამართლის გამონაკლისი

ასისტენტი *ანრი ოხანაშვილი* LL.M. (იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე / დოქტორანტი *ბაჩანა სურმავა*, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის აპარატის მთავარი სპეციალისტი

I. შესავალი

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ახალი კორონავირუსი (COVID-19) პანდემიად გამოაცხადა.¹ ამ ვირუსის მასობრივმა და სწრაფმა გავრცელებამ ფაქტობრივად საფრთხე შეუქმნა მსოფლიო საზოგადოების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამავ ორგანიზაციის ოფიციალური მონაცემებით, 2020 წლის 30 სექტემბრისთვის 216 სახელმწიფოში გამოვლენილია ახალი კორონავირუსის 33 722 075 დადასტურებული შემთხვევა და გარდაცვლილია 1 009 270 ადამიანი.² საქართველოში 2020 წლის 30 სექტემბრისთვის გამოვლენილია ახალი კორონავირუსის 6640 დადასტურებული შემთხვევა და გარდაცვლილია 41 ადამიანი.³

ამგვარად, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოში, სხვა სახელმწიფოების მსგავსად,⁴ ახალი სა-

კანონმდებლო რეგულაციების დაჩქარებულად შემუშავების აუცილებლობა გაჩნდა. კანონმდებლის ამოცანა ამ კუთხით კი იყო ვირუსის გავრცელებისა და მისგან მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება და ვირუსის ეფექტიანი მართვა, რამაც საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში შეზღუდვის საჭიროება წარმოშვა.

აღსანიშნავია, რომ COVID-19-ის წინააღმდეგ საქართველოში გატარებული ღონისძიებები ეფექტიანი აღმოჩნდა, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებებიც მოწმობს.⁵

ამ სტატიის მიზანია პანდემიასთან ბრძოლისას სისხლის სამართლის მიმართულებით საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და ამ ცვლილებების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვა.

II. პანდემიის პირობებში საქართველოში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები და კონსტიტუციური სარჩელები

1. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი

2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა, ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუ-

¹ ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) პანდემიად გამოცხადების შესახებ ინფორმაცია იხ. <https://www.euro.who.int/en/health-topics/health-emergencies/coronavirus-covid-19#:~:text=WHO%20announced%20COVID-19,on%2011%20March%202020%3E> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

² ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების, დადასტურებული შემთხვევებისა და ამ ვირუსით გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

³ საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) გავრცელების, დადასტურებული შემთხვევებისა და ამ ვირუსით გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://stopcov.ge/> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

⁴ პანდემიასთან ბრძოლისას, მაგალითად, გერმანიაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და მათი ანალიზი იხ. *Weißberger, Björn*, Onlinezeitschrift für Höchststrichterliche Rechtsprechung zum Strafrecht (HRRS) 4/2020, 166 ff.

⁵ იხ.: <https://1tv.ge/news/karl-harceli-saqartvelo-is-saukete-so-adgilia-sadac-sheidzleba-vyofiliyavi-am-rtul-dros/?fbclid=IwAR3a6qccJtvQK-GIKGWbv-U5N1TSknnl7Z2SxX-Qlc6M4Q0UHmjusjgDzVLC> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://www.usaid.gov/ka/georgia/news-information/news/usaid-supporting-georgia-combat-covid-build-resilience-and-prepare-economic> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

ციის 71-ე მუხლის საფუძველზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ დეკრეტი გამოსცა. ეს დეკრეტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებასთან ერთად დაუყოვნებლივ წარედგინა საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად, რომლებიც პარლამენტმა იმავე დღეს 115 ხმით დაამტკიცა.⁶

პრეზიდენტის აღნიშნული დეკრეტით შეიზღუდა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 (ადამიანის თავისუფლება), მე-14 (მიმოსვლის თავისუფლება), მე-15 (პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები), მე-18 (სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები), მე-19 (საკუთრების უფლება), 21-ე (შეკრების თავისუფლება) და 26-ე (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება) მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.⁷

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 ბრძანება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830390?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.09.2020). საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830372?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.09.2020). საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნული ბრძანებისა და დეკრეტის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/20226> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://info.parliament.ge/#law-drafting/20227> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

⁷ საქართველოს კონსტიტუციის ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის ფარგლებში საქართველოს მთავრობას საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით მიენიჭა ისეთი უფლებამოსილებები, როგორებიც არის: იზოლაციისა და კარანტინის წესების შემუშავება; საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საკმისწარმოების განხორციელების წესების დადგენა; საკარანტინო, საიზოლაციო და სამედიცინო მიზნებისთვის, აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით

ამასთანავე, პრეზიდენტის იმავე დეკრეტის მე-8 მუხლით დადგინდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ დეკრეტითა და

საკუთრების უფლების შეზღუდვა და ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ქონებისა და მატერიალური საშუალებების გამოყენება; შეკრებისა და მანიფესტაციის გამართვისა და ადამიანების თავშეყრის საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრა და ა. შ. შესაბამისად, 2020 წლის 23 მარტს საქართველოს მთავრობამ საქართველოს პრეზიდენტის აღნიშნულ დეკრეტზე დაყრდნობით მიიღო №181 დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის ვავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“, რომლითაც პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე შეზღუდულ თითოეულ კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით განისაზღვრა კონკრეტული შემზღუდავი ღონისძიებები, კერძოდ, დადგინდა, კონკრეტულად რა სახით და რა მოცულობით უნდა შეზღუდულიყო პრეზიდენტის დეკრეტით შეზღუდული კონსტიტუციური უფლებები. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4830610?publication=0> (ბოლოს ნანახია 30.09.2020). პრეზიდენტის დეკრეტითა და მთავრობის დადგენილებით საკითხების ამგვარად მოწესრიგებამ იურისტთა გარკვეულ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, 2020 წლის 11 და 19 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორი კონსტიტუციური სარჩელი წარედგინა. ეს სარჩელები და შესაბამისი საოქმო ჩანაწერები იხ.: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9169> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9189> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9191> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9190> (ბოლოს ნანახია 30.09.2020). მოსარჩელები დავობენ, თუ რამდენად კონსტიტუციურია, პრეზიდენტის დეკრეტით დადგენილი ფართო დელეგირების ფარგლებში საქართველოს მთავრობამ განახორციელოს ზემოსხენებული უფლებამოსილებები და შესაბამის კერძო სამართლის სუბიექტებს აუკრძალოს, შეუზღუდოს ან დაავალოს ცალკეული ქმედებების (საქმიანობის) განხორციელება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მაშინ, როცა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 (ადამიანის თავისუფლება), მე-19 (საკუთრების უფლება), 21-ე (შეკრების თავისუფლება) და 26-ე (შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მენარმეობის თავისუფლება) მუხლების თანახმად, ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა კანონით უნდა განხორციელდეს. აღნიშნულ კონსტიტუციურ სარჩელებში მოცემულ საკითხებზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არასოდეს უმსჯელია, რადგან საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და საქართველოს პრეზიდენტი ამ საკითხების ამ ფორმით მოწესრიგების აუცილებლობის წინაშე აქამდე არ დამდგარან. ამიტომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას პრეცედენტული მნიშვნელობა ექნება. ამჟამად კონსტიტუციური სარჩელების განხილვა დასრულებულია, თუმცა გადაწყვეტილება ჯერ არ გამოცხადებულია.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის; კერძოდ, განისაზღვრა, რომ პრეზიდენტის დეკრეტითა და მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის პირველ ჯერზე დარღვევა იწვევდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ჯარიმას ფიზიკური პირებისთვის 3 000 ლარის ოდენობით, იურიდიული პირებისთვის კი – 15 000 ლარის ოდენობით, ხოლო ადმინისტრაციულსახელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა იწვევდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას – თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, იურიდიული პირი კი ისჯებოდა ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის დეკრეტის მე-7 მუხლით განისაზღვრა აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამართვის შესაძლებლობა და დადგინდა, რომ ამ წესით სხდომის გამართვის შემთხვევაში, მასში მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს დისტანციურად სხდომის ჩატარებაზე, მასზე უშუალო დასწრების სურვილის მოტივით.

ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში მსჯელობის საგანი გახდა, დასაშვებია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულის შემადგენლობის პრეზიდენტის დეკრეტით განსაზღვრა. კერძოდ, 2020 წლის 11 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილ კონსტიტუციურ სარჩელში მოსარჩელე უთითებს პრეზიდენტის დეკრეტის მე-8 მუხლზე და აღნიშნავს, რომ ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადება და ამ ქმედების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დადგენა, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის შესაბამისად, უნდა განხორციელდეს კანონით.⁸

⁸ იხ. კონსტიტუციური სარჩელი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერი საქმეზე „ზაურ შერმაზანაშვილი საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“; მოსარჩელე აცხადებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, როგორც ქმედება, ისე პასუხისმგებლობა დადგენილია არა კანონით, არამედ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რაც, მისი აზრით, იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის (ყველას აქვს ადმინისტრაციული ორ-

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით ქმედების დანაშაულად განსაზღვრა და მისი ჩადენისთვის სასჯელის დადგენა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის⁹ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის მხოლოდ ამავე კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. გარდა ამისა, დანაშაულის შემადგენლობის დეკრეტით განსაზღვრის პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე არც „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში არის პირდაპირ მითითებული; მართალია, ამ კანონის მე-8 მუხლი აცხადებს, რომ ამავე კანონის ცალკეული ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ აღნიშნულ კანონში არ არის პირდაპირ მითითებული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევისთვის ადმინისტრაციულსამართლებრივი ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრეზიდენტის დეკრეტით დადგენის შესაძლებლობაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პრეზიდენტის დეკრეტი ორგანული კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი და საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია, ამასთანავე, ქვეყნის უზენაესი კანონით არ არის დადგენილი რაიმე სახის შეზღუდვა, თუ

განოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება), 31-ე მუხლის პირველი პუნქტისა (ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია) და ამავე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების (არავინ აგებს პასუხს ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა) დარღვევას. კონსტიტუციური სარჩელი მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით დაკისრების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან და 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით, საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერით დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული და არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად. კონსტიტუციური სარჩელი არსებითად განსახილველად იქნა მიღებული კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველ წინადადებასთან მიმართებით; იხ.: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9169> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9189> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

⁹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც სსკ.

რომელი საკითხების მოწესრიგება არ შეიძლება პრეზიდენტის დეკრეტით. მეტიც, პრეზიდენტის დეკრეტის ლეგიტიმაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ნების გამოვლინებასთან და იგი პარლამენტის ერთგვარ კონტროლსაც ექვემდებარება; კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დეკრეტი დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს. პარლამენტი დეკრეტს ამტკიცებს შეკრებისთანავე. თუ პარლამენტი დეკრეტს არ დაამტკიცებს, იგი კენჭისყრისთანავე კარგავს იურიდიულ ძალას.“ შესაბამისად, საგანგებო მდგომარეობის დროს პრეზიდენტის დეკრეტით დანაშაულის შემადგენლობის განსაზღვრისა და სასჯელის დადგენის ლეგიტიმურ საფუძველს სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჰქმნის.

მსჯელობის საგანია ასევე, ინარჩუნებს თუ არა პრეზიდენტის დეკრეტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები (მაგალითად, დეკრეტითა და მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის იურიდიული შედეგები) ძალას საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგაც, კერძოდ, იწვევს თუ არა დეკრეტის მოქმედების შეწყვეტა ამავე დეკრეტით განსაზღვრული დანაშაულის დეკრიმინალიზაციას. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა 2020 წლის 23 აპრილს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით აირჩია საკანონმდებლო ტექნიკის მართებული გზა და პრეზიდენტის დეკრეტის მოქმედების პერიოდში სსკ-ის 359¹ მუხლით დანაშაულად განსაზღვრა ამ დეკრეტით დანაშაულად გამოცხადებული ქმედებები.¹⁰ ამგვარად, კანონმდებლის მიზანი არ ყოფილა დანაშაულის დეკრიმინალიზაცია.¹¹ სსკ-ის 359¹ მუხლის თანახმად, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა დასჯადია, თუ იგი ჩაიდინა ასეთი ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახელდადებულმა ან/და იმავე 359¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ნასა-

მართლევმა პირმა; ამ დანაშაულის ჩადენისთვის კი სსკ-ით სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვს წლამდე, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო იურიდიული პირისთვის – ჯარიმა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ან ლიკვიდაცია და ჯარიმა, თუ საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღსანიშნავია, რომ კანონმდებელმა სისხლის სამართლის კანონის მოქმედება ამ საკითხში საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის მოქმედების ფარგლებთან დააკავშირა. ამავე დროს, სამსჯელოა, პრეზიდენტის დეკრეტით დანაშაულად გამოცხადებული ქმედების დასჯადობა იქნებოდა თუ არა კანონიერების პრინციპთან შესაბამისობაში, ეს ქმედება სსკ-ით დანაშაულად არა დეკრეტის მოქმედების პერიოდში, არამედ დეკრეტის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ რომ განსაზღვრულიყო.¹²

2020 წლის 23 აპრილის ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განხილვის დროს მსჯელობის საგანი გახდა სასჯელის სახე – ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა, კერძოდ, – რამდენად შეესაბამება იგი სასჯელის პროპორციულობის პრინციპს და უახლოვდება თუ არა ასეთი სანქცია ე. წ. აბსოლუტურად განსაზღვრულ სანქციათა კატეგორიას¹³. იმავდროულად, მსჯელობის საგანი იყო, რამდენად შეესაბამება ეს სასჯელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სასჯელის პროპორციულობის სტანდარტს¹⁴, არის თუ

¹² სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქციასთან დაკავშირებით იხ.: *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამ., 2013, გვ. 24 და მომდევნო გვ.; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება I, 2011, გვ. 107 და მომდევნო გვ.; *ხარანაული, ლევან*, მართლმსაჯულება და კანონი, 1/2008, 50 და მომდევნო გვ.

¹³ სანქციის სახეების განსხვავებებთან დაკავშირებით იხ. *ტყეშელიაძე, გიორგი*, წიგნში: სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2007, გვ. 77 და მომდევნო გვ.

¹⁴ სასჯელის პროპორციულობასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტზე იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-30: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=950> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

¹⁰ იხ.: <https://info.parliament.ge/#law-drafting/20221> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

¹¹ დანაშაულის დეკრიმინალიზაციის საკითხთან დაკავშირებით იხ. *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მე-9 გამ., 2013, გვ. 25; *ტურავა, მერაბ*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება I, 2011, გვ. 111 და მომდევნო გვ.

არა აღნიშნული სასჯელი კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის გონივრული და პროპორციული ღონისძიება და იძლევა თუ არა კანონი შესაძლებლობას, რომ მოსამართლემ აღნიშნული სასჯელის შეფარდებისას კონკრეტული საქმის გარემოებები გაითვალისწინოს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტში ასახულია პროპორციულობის პრინციპი (ადამიანის ძირითადი უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება), რომელსაც კონსტიტუციური მნიშვნელობა აქვს. ამ პრინციპის კონსტიტუციურ რანგზე უთითებენ ადამიანის უფლებათა სამართლის თეორიაშიც – პროპორციულობის პრინციპი „ადამიანის უფლების შეზღუდვისას კანონმდებლის შებოჭვის მექანიზმს და კონსტიტუციური კონტროლის ელემენტს წარმოადგენს“¹⁵ და პროპორციულობა „კონსტიტუციურობის უნივერსალური კრიტერიუმია“¹⁶.

2020 წლის 23 აპრილის საკანონმდებლო ცვლილებებით ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა განისაზღვრა ასევე იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევისთვის იმ შემთხვევაშიც, როდესაც იზოლაციის ან/და კარანტინის წესი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ნაწილი არ არის;¹⁷ კერძოდ, საკანონმდებლო ცვლი-

ლებების თანახმად, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის ასეთი წესის პირველ ჯერზე დარღვევა იწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარით, იურიდიული პირისა კი – 10 000 ლარით,¹⁸ ხოლო იზოლაციის ან/და კარანტინის აღნიშნული წესის განმეორებით დარღვევა, ჩადენილი ამ ქმედების ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახედელდადებული ან/და მისი ჩადენისთვის ნასამართლევი პირის მიერ ისჯება შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, იურიდიული პირი კი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.¹⁹

პირს ამ წესის დარღვევისთვის ვერც ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა. სწორედ ამიტომ საჭირო გახდა, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ცალკე განსაზღვრულიყო იზოლაციის ან/და კარანტინის წესის იმ შემთხვევაში დარღვევისთვის, როდესაც ეს წესი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის შემადგენელი ნაწილი არ არის.

¹⁸ იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 4210 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=469> (ბოლოს ნანახია 30.09.2020). ამასთანავე, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დამრღვევი ფიზიკური პირის მიმართ შემოღებულ იქნა მისი შესაბამის სივრცეში მოსათავსებლად გადაყვანის ღონისძიება, როგორც ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელი პრევენციული ღონისძიება. ამ საკითხთან დაკავშირებით 2020 წლის 22 ივნისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წარედგინა გიორგი ჩიტაძისა და ედუარდ მარიკაშვილის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტი-სა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ; მოსარჩელები სხვა საკითხებთან ერთად დავობენ და აცხადებენ, რომ საკანონმდებლო ცვლილებები პირის იზოლაციაში მოთავსების საკითხზე გადაწყვეტილებას ანდობს აღმასრულებელ ხელისუფლებას იმგვარად, რომ არ ითვალისწინებს რაიმე ფორმის სასამართლო კონტროლს, პირის იზოლაციაში მოთავსებისთვის აღმასრულებელი ხელისუფლება წინასწარ არ იღებს სასამართლოს ნებართვას და აღმასრულებელი ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებაზე არც შემდგომი სასამართლო კონტროლი ხორციელდება; ამდენად, მათი აზრით, ადამიანთა ფიზიკური თავისუფლების სასამართლო კონტროლის გარეშე მსგავსი ინტენსივობით შეზღუდვა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის (ადამიანის თავისუფლება) პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებს; იხ: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9814> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

¹⁹ იხ. სსკ-ის 2481 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=230> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

¹⁵ ფირცხალაშვილი, ანა, კომენტარში: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 217.

¹⁶ იხ. Beatty, David, *The Ultimate Rule of Law*, 2004, გვ. 162, ციტირებულია სტატიიდან: *პერჯიუ, ვლადი*, პროპორციულობის პრინციპი და თავისუფლება, ესეი კონსტიტუციური სამართლის მეთოდზე, კონსტიტუციური სამართლის მიმოხილვა, 7/2014, 161 (ქართული ვერსია); იხ. აგრეთვე *ცეტიტიშვილი, თემურ*, წიგნში: *ნაჭყებია/თოდუა/ლეკვეიშვილი/ივანიძე/მჭედლიშვილი-ჭედრიხი*, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლებერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, 2016, გვ. 506.

¹⁷ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის თანახმად, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი იზოლაციის ან/და კარანტინის წესი საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის ნაწილი იყო და, ამდენად, ამ წესის დარღვევა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევად მიიჩნეოდა. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემთხვევაში კი იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დაცვა შესაძლოა კვლავ ყოფილიყო აუცილებელი, რათა COVID 19-თან დაკავშირებული საფრთხეები არ გაძლიერებულიყო, თუმცა ამ მოცემულობაში იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევად ვეღარ ჩაითვლებოდა და

საკანონმდებლო ცვლილებების საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განხილვის დროს გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სსკ-ში განხორციელებული ცვლილებები არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის განსაზღვრულობის პრინციპს, რადგან აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები ე. წ. ბლანკეტურ მითითებებს შეიცავს.

2. საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

2020 წლის 23 მაისიდან საქართველოში საგანგებო მდგომარეობა გაუქმდა და საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტმაც მოქმედება შეწყვიტა. საგანგებო მდგომარეობის გაუქმებამდე, 22 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.²⁰ ამ საკანონმდებლო ცვლილებებით, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში²¹ შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით მონესრიგებული საკითხი სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის შესახებ. აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა, რომ დროებით, პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის გავრცელების საფრთხის არსებობის შემთხვევაში საქართველოს სსსკ გათვალისწინებული სასამართლო სხდომა სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაიმართოს დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, თუ: ა) ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული თანახმაა; ბ) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა, მსჯავრდებულს სასჯელის სახით

შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან/და სასამართლო სხდომის ამ წესით ჩატარებლობამ შესაძლებელია დანაშაულის გახსნისა და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საჯარო ინტერესის ხელყოფა გამოიწვიოს. ამასთანავე, დადგინდა, რომ სასამართლო სხდომის აღნიშნული წესით გამართვის შემთხვევაში მასში მონაწილე არცერთ პირს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს სხდომის დისტანციურად გამართვაზე მასზე უშუალოდ დასწრების სურვილის მოტივით. სსსკ-ის ეს ნორმები 2021 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს.²²

²² იხ. საქართველოს სსსკ-ის 3325 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=124> (ბოლოს ნანახია 30.09.2020). „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილების (იხ. 453 მუხლი) შედეგად, გარკვეული შეზღუდვები, მიუხედავად საგანგებო მდგომარეობის გაუქმებისა, კვლავ ძალაში დარჩა; კერძოდ, საქართველოს მთავრობას კანონით მიენიჭა უფლებამოსილება, რომ, პანდემიის ან/და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით საშიში ეპიდემიის დროს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, თავისი დადგენილებით, საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილისგან განსხვავებულად, დროებით მონესრიგოს (მათ შორის, დროებით დაანესოს შესაბამისი შეზღუდვები) საჯარო დაწესებულებების, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სხვა დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სხვა იურიდიული პირების საქმიანობასთანადმინისტრირებასთან, საჯარო სერვისების მიწოდებასთან, პირთა მიმოსვლასთან, საკუთრებასთან, შრომასთან, პროფესიულ ან ეკონომიკურ საქმიანობასთან, უკანონო მიგრაციასთან/საერთაშორისო დაცვასთან ან/და სოციალური ღონისძიებების ჩატარების მიზნით პირთა თავშეყრასთან დაკავშირებით. ამ საკანონმდებლო ცვლილებების მიღების პროცესში კონსულტაციები გაიმართა საქართველოს სახალხო დამცველსა და მის ოფისთან. შედეგად, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიღებისას გათვალისწინებული იქნა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციები, კერძოდ, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის 453 მუხლში, მაგალითად, დაკონკრეტდა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული დროებითი ხასიათის შეზღუდვები უნდა იყოს: საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით დაცული სიკეთეების მიღწევისკენ მიმართული; დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელი; არადისკრიმინაციული; პროპორციულად შემზღუდველი; ისეთი, რომ შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატებოდეს შეზღუდვით მიყენებულ ზიანს. აღნიშნულმა საკანონმდებლო ცვლილებებმაც იურისტთა გარკვეულ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია და ამ ცვლილებებთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 მაისს, 22 ივნისს და 21 ივლისს სამი კონსტიტუციური სარჩელი წარედგინა (პაატა დიასამი-

²⁰ იხ. <https://info.parliament.ge/#law-drafting/20382> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

²¹ შემდგომ შემოკლებულია, როგორც სსსკ.

III. დასკვნა

ახალი საკანონმდებლო რეგულაციების წარმოდგენილ სტატიაში მიმოხილვამ ცხადყო, რომ ქართული კანონმდებლობა ისე, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნების (მაგალითად, გერმანიის) კანონმდებლობა დადგა გამოწვევის წინაშე, თუ როგორ მოწესრიგდებოდა COVID19-თან ბრძოლისას სისხლისსამართლებრივი საკითხები.

საქართველოს პრეზიდენტს პირველად მოუწია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დეკრეტით დადგენა, ხოლო საქართველოს პარლამენტს პირველად მოუწია ამ სტატიაში განხილულ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის, იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევის შესახებ საკითხებზე მსჯელობა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საზოგადოებაში გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა წარმოდგენილი სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით და საქართველოს კონსტიტუციასთან ახალ ნორმათა შესაბამისობაზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში პირველად განხორციელდა მისთვის ისეთ საკითხებზე მიმართვა, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის დროს საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს მთავრობისთვის გარკვეული

უფლებამოსილებების დელეგირების ფარგლებს, პრეზიდენტის მიერ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას, იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დამრღვევი ფიზიკური პირის შესაბამის სივრცეში მოსათავსებლად იძულებით გადაყვანას ეხება. ამ საკითხების შესახებ სამართლის შემდგომი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელების განხილვის დასრულებული და მიმდინარე პროცესები და შესაბამისი გადაწყვეტილებები.

აღნიშნული სამართლებრივი საკითხების მართებულად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ნებისმიერი დაავადების, მათ შორის, ახალი კორონავირუსის (COVID19-ის), გავრცელებიდან მომდინარე საფრთხის ეფექტიან მართვასთან ერთად აუცილებელია, რომ ამ საფრთხის მართვა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ზედმიწევნით დაცვით განხორციელდეს. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას, ერთი მხრივ, ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; შესაბამისი ბალანსის დადგენა აუცილებელია. ამ კუთხით კი, როგორც წარმოდგენილი რეგულაციები, ისე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მომდევნო წლებში საქართველოში აქტიური სამართლებრივი მსჯელობის საგანი გახდება.

ძის ორი სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და გიორგი ჩიტიძისა და ედუარდ მარიკაშვილის სარჩელი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ). მოსარჩელები დავობენ, უნდა ჰქონდეს თუ არა საქართველოს მთავრობას ან საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ სამინისტროს უფლებამოსილება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დაადგინოს მიმოსვლის თავისუფლებისა და შრომის თავისუფლების შემზღვევის ფარგლები. ამასთანავე, მათი აზრით, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს მთავრობისთვის მეტისმეტად ფართოდ მოახდინა ადამიანის თავისუფლების შემზღვევა ღონისძიებების გატარების უფლებამოსილების დელეგირება. ისინი მიიჩნევენ, რომ კონსტიტუციური უფლების შემზღვევა ყველა პრინციპულ საკითხზე გადაწყვეტილებას თავად პარლამენტი უნდა იღებდეს, ხოლო სხვა უწყებებს ისეთი ტექნიკური და პროცედურული საკითხების მოწესრიგებას ანდობდეს, რომლებიც მხოლოდ ცვლად გარემოებებზე მორგებას საჭიროებს; იხ.: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9814> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9220> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9519> (ბოლოს ნანახია 30.09.2020); <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9931> (ბოლოს ნანახია 30.09.2020).

**გიორგი თუმანიშვილი/ბაჩანა ჯიშკარიანი/ედვარდ შრამი –
„ევროპული და საერთაშორისო სამართლის გავლენა ქართულ
სისხლის საპროცესო სამართალზე“**

(850 გვერდი, თბილისი 2019, ISBN 9789941259005)

სამართლის დოქ. *მარტინ პიაცენა*

1999 წელს ევროპის საბჭოში საქართველოს განვითარებას ქვეყნის ევროპული განვითარება მოჰყვა, რაც დღემდე გრძელდება და რისი უპირველესი მნიშვნელოვანი წარმატებაც აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული და 2016 წელს სრულად ამოქმედებული ასოცირების შესახებ შეთანხმებაა. ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულება მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია იმ მრავალ ევროპულ ფაქტორს შორის, რომელიც ქართული სისხლის სამართლის პროცესის განვითარებასა და ევროპეიზაციას განსაზღვრავს. ამ სახელმძღვანელოში თავმოყრილია და თემატურად და სისტემურად ასახულია ქართული სისხლის სამართლის პროცესზე გავლენის მქონე ევროპული და საერთაშორისო სამართლის ფართო სფეროებში შემავალი საკითხები.

ეს სახელმძღვანელო ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული სამეცნიერო პროექტის „ქართული სისხლის სამართლის პროცესის ინტერნაციონალიზაცია და ევროპეიზაცია, როგორც პრობლემა და ამოცანა“¹ თანამშრომლობის შედეგია. ამ პროექტზე მუშაობის აქტიური ფაზა განხორციელდა 2016-2019 წლებში, როდესაც სახელმძღვანელოს ცალკეული ნაშრომები 29 ავტორმა მოამზადა. ეს ორმხრივი პროექტი ინსტიტუციურ დონეზე განხორციელეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (თსუ) და ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტმა და მას ხელმძღვანელობდნენ პროფ. დოქ. ედვარდ შრამი (ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი) და ასოცირებული პროფ. დოქ. გიორგი თუმანიშვილი (თსუ).

¹ იხ. სისხლის სამართლის პროექტის პრეზენტაცია: შრამი/თუმანიშვილი, DGStZ 2/2016, 30, <http://www.dgstz.de/storage/documents/U2DJ7ARHolrjn2iNvCMAbFuw51db7ucjoUYpQmxr.pdf> (ჩამოტვირთვის თარიღი: 10.04.2020)

ამასთანავე, გერმანული მხრიდან პროექტში მონაწილეობდნენ ჰუმბოლდტის უნივერსიტეტი (პროფ. დოქ. მარტინ ჰეგერი) და ებერჰარდ კარლსის სახელობის ტიუბინგენის უნივერსიტეტი (პროფ. დოქ. ბერნდ ჰაინრიხი), ხოლო ქართული მხრიდან ასევე საქართველოს უნივერსიტეტი (ასოცირებული პროფ. დოქ. ბაჩანა ჯიშკარიანი). შესაბამისად, ეს სახელმძღვანელო სისხლის სამართალში სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგიც არის, რომელიც მასში მონაწილე უნივერსიტეტებს შორის დიდი ხნის წინ დაიწყო და ახლაც გრძელდება. პირველი ფართო პროექტი, რომელიც საქართველოში თანამედროვე სისხლის სამართლის დოგმატიკისა და სამართლებრივი სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სამართლის შეფარდების მეთოდების განვითარებას ემსახურებოდა, განხორციელეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტისა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის პროფესორებმა 2006-2013 წლებში. გარდა ამისა, 2001 წლიდან „Netzwerk Ost West“ პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად ტარდება გაცვლითი სტუდენტური სემინარი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებს შორის.²

ზემოხსენებული უნივერსიტეტების აკადემიურ პერსონალთან ერთად სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი წვლილი შეიტანეს პრაქტიკოსმა იურისტებმა, როგორც სამოსამართლო, ისე საპროკურორო სფეროდან. ამავე დროს, პროექტს მრჩეველების სახით მხარში ედგნენ პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ჰაინერ ალვარტი (ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი)

² იხ. დეტალური ინფორმაციისთვის: <https://heger.rewi.hu-berlin.de/now/> (ჩამოტვირთვის თარიღი: 10.04.2020).

ტი) და პროფ. დოქ. მერაბ ტურავა (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე). მათ ორივემ სახელმძღვანელოსთვის მოამზადა ნაშრომები და თანახელმძღვანელობა გაუწია ცალკეული თავების მომზადებას. სახელმძღვანელოს კონცეფცია ითვალისწინებდა ასევე ახალი თაობის მეცნიერთა მონაწილეობას და, ამდენად, ცალკეული თავები დაამუშავეს რჩეულმა ქართველმა დოქტორანტებმა სისხლის სამართლისა და სისხლის საპროცესო სამართლის სფეროებიდან.

ქართულ-გერმანული ფართო თანამშრომლობა სახელმძღვანელოს დამუშავების პროცესს გასცდა და ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ თბილისში, იენაში, ბერლინში,³ ტიუბინგენსა და სტრასბურგში⁴ ჩატარებული ერთობლივი სამუშაო შეხვედრების გარდა, პროექტი მოიცავდა სტიპენდიებს ქართველი დოქტორანტებისათვის, მათ კი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტსა და ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების ჩატარების შესაძლებლობა მიეცათ. ამასთანავე, 2017 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში (ბათუმში) დაინტერესებული სტუდენტებისთვის მოეწყო საზაფხულო სკოლა ევროპული და საერთაშორისო სისხლის სამართლის პროცესისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის აქტუალურ საკითხებზე.⁵

850-გვერდიანი სახელმძღვანელო 30 თავისგან შედგება, მათი ნაწილი კი დაყოფილია ქვეთავებად. შესავალი (პირველი ნაწილი, 30-ე გვერდიდან) ეხება ქართული სისხლის სამართლის პროცესის საფუძვლებს. შესავლის გარდა, სახელმძღვანელო მოიცავს თემატურად დაყოფილ 5 ნაწილს. მეორე ნაწილში მსჯელობა იწყება სისხლის სამართლის ევროპეიზაციის საფუძვლების განხილვით: დეტალურად განხილულია ევროპის საბჭო, ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (94-ე გვერდიდან). შემდეგ განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გავლენა ქართულ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე (132-ე გვერდიდან). სახელმძღვანელოში განხილულია აგრეთვე ევროკავშირის ინსტიტუტები და ევროკავშირის როლი სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაციაში (150-ე გვერდიდან). დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს მაგალითზე განხილულია ასოცირების შესახებ შეთანხმების მნიშვნელობა საქართველოში მართლმსაჯულების რეფორმის განხორციელებაში (255-ე გვერდიდან).

შემდეგ ყურადღება ეთმობა უშუალოდ ქართულ სისხლის სამართლის პროცესს და განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ექვემდებარება ქართული სისხლის სამართლის პროცესის არსებითი სტრუქტურული ელემენტები ევროპეიზაციის პროცესს (მე-3 ნაწილი, 264-ე გვერდიდან). სახელმძღვანელოში ნამსჯელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გავლენაზე ქართული სისხლის სამართლის პროცესის მიხედვით ჩატარებულ საგამოძიებო ეტაპსა და საქმის არსებით განხილვაზე (338-ე და 407-ე გვერდებიდან). განსაკუთრებით დეტალურად განხილულია საჯაროობის პრინციპი, როგორც გერმანული, ისე ქართული პერსპექტივიდან (431-ე და 453-ე გვერდებიდან). სახელმძღვანელოში ნამსჯელია ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებულ ევროპულ სტანდარტებზე (295-ე და 318-ე გვერდებიდან). განხილულია ასევე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ევროპული ტენდენციები ქართულ სისხლის სამართლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე (575-ე გვერდიდან) და რა გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე (546-ე გვერდიდან). ეს ნაწილი 13 თავისგან შედგება და სახელმძღვანელოს ნაწილებს შორის ყველაზე დიდი მოცულობით გამოირჩევა. ამდენად, ის სახელმძღვანელოს მთავარი შინაარსობრივი ნაწილია.

შემდეგი ნაწილი (მეოთხე ნაწილი) ეძღვნება პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან სპეციალურ სფეროს – სისხლისსამართლებრივ ბრძოლას ევროკავშირის საზიანოდ ჩადენილი თაღლითობისა და კორუფციის წინააღმდეგ. თავდაპირველად წარ-

³ იხ. პროექტის სამუშაო შეხვედრის ანგარიში: *გლატცი/ჰელბიგი*, DGStZ 2/2017, 58, <http://www.dgstz.de/storage/documents/vSonZ9hrMNXyzk9YqEpJ9RcuC3eF19yczjE0oAxM.pdf> (ჩამოტვირთვის თარიღი: 10.04.2020).

⁴ იხ. პროექტის სამუშაო შეხვედრის ანგარიში: *გლატცი/ჰელბიგი*, DGStZ 1/2019, 22, <http://www.dgstz.de/storage/documents/T9MJPsSD0gijK419BvsypobZHmm15QrLfCNMzHZGU.pdf> (ჩამოტვირთვის თარიღი 10.04.2020).

⁵ იხ. პროექტის საზაფხულო სკოლის ანგარიში: *კუცია/გლატცი*, DGStZ 1/2018, 28, <http://www.dgstz.de/storage/documents/7nhNL17BkYm9V1dXXfVDbinM5XPMLAoogekAia5.pdf> (ჩამოტვირთვის თარიღი 10.04.2020).

მოდგენილია ის სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც ევროკავშირმა თავისი ფინანსური ინტერესების დასაცავად განსაზღვრა, აგრეთვე მისი შესრულებისთვის პასუხისმგებელი ინსტიტუტები (609-ე გვერდიდან). საქართველოსთან მიმართებით განხილულია ის მოთხოვნები, რომლებსაც ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს უდგენს დელიქტებისგან ფინანსური ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით. კორუფციასთან ბრძოლის სფეროსთან მიმართებით სახელმძღვანელოში წარმოდგენილია გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის ფარგლებში დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რა გავლენა მოახდინეს ამ ხელშეკრულებებმა კორუფციის სფეროში გერმანული ეროვნული სისხლის სამართლის ჩამოყალიბებაზე (641-ე გვერდიდან). აღნიშნული თემატიკის ბოლო თავი ეძღვნება საქართველოსა და თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროკავშირის ოფისს (OLAF) შორის თანამშრომლობის დეტალურ განხილვას (667-ე გვერდიდან).

სახელმძღვანელოს შემდეგი ნაწილი (მეხუთე ნაწილი) საერთაშორისო მართლმსაჯულებასა და ქართულ სისხლის სამართალს შორის კავშირს ეძღვნება. ვინაიდან საქართველო არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრი ქვეყანა და მას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება სრულად რატიფიცირებული აქვს, პირველ თავში განხილულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ფუნქცია ქართული სისხლის სამართლისა და საქართველოს იურისდიქციის კონტექსტში (683-ე გვერდიდან). ამავდროულად გათვალისწინებულია სასამართლოს როლი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომთან მიმართებით (ომში მონაწილე მხარეების მიმართ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის ოფისი 2016 წლის დასაწყისიდან აწარმოებს გამოძიებას კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულისა და ომის დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე). ბოლო თავში სიღრმისეულად ნამსჯელია საერთაშორისო სისხლის სამართალში მოქმედ კომპლემენტარობის პრინციპზე და კრიტიკულად განხილულია მისი ფუნქცია (714-ე გვერდიდან).

ნიგნის ბოლო ნაწილი (მეექვსე ნაწილი) ეხება ტრანსნაციონალურ საკითხებს, კერძოდ კი, საქართველოს კონტექსტში სისხლის სამართლის

საქმეებზე საერთაშორისო და ტრანსნაციონალურ თანამშრომლობას. როგორც წინა ნაწილში, აქაც მსჯელობა იწყება სისხლის სამართლის საქმეებზე თანამშრომლობის საკითხებით და განხილულია ევროკავშირის ფარგლებში სამართლებრივი დახმარების საკითხი (751-ე გვერდიდან). შემდეგ განხილულია სისხლის სამართლის სფეროში საქართველოს საერთაშორისო თანამშრომლობის ასპექტები (758-ე გვერდიდან), სადაც ყურადღება გამახვილებულია ამ სფეროს მნიშვნელოვან პრინციპებზე, სამართლებრივი საფუძვლებსა და თანამშრომლობის ფორმებზე. თემატიკა სიღრმისეულად განიხილება მომდევნო თავში, საქართველოსა და ევროპოლს შორის თანამშრომლობის ასპექტში (783-ე გვერდიდან). ამასთანავე, განხილულია საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისა (798-ე გვერდიდან) და ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი პროცესუალური ასპექტები (825-ე გვერდიდან).

სახელმძღვანელოში თავმოყრილია და საფუძვლიანად გაანალიზებულია ქართულ სისხლის საპროცესო სამართალში მოქმედი ინტერნაციონალიზაციისა და ევროპეიზაციის აქტუალური ტენდენციები, რაც ასევე მოიცავს ტრანსნაციონალური და საერთაშორისო სისხლის სამართლის ასპექტების განხილვას. სახელმძღვანელოს დიდი დამსახურებაა იმ ევროპული და საერთაშორისო სამართლის კომპლექსური ფაქტორების თავმოყრა და თემატურად, ფოკუსირებული განხილვა, რომლებიც გავლენას ახდენს ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე და რომლებიც მიმოფანტულია სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში. ამგვარად, სახელმძღვანელო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქართული სისხლის სამართლის დოგმატიკისთვის, არამედ პრაქტიკოსი იურისტებისთვისაც, რომლებსაც მოეთხოვებათ, რომ თავიანთი საქმიანობის განხორციელებისას ამ სფეროსთვის დამახასიათებელი სწრაფი განვითარების დინამიკას ფეხი აუწყონ. ამასთანავე, სახელმძღვანელოს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ქართველი სტუდენტებისთვისაც, რომელთა ინტერესის სფეროც სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო ნაწილია, – განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათ სურვილი ექნებათ, გაიღრმავონ ცოდნა სისხლის სამართლის საპროცესო სამართალსა და მასთან დაკავშირებულ ევროკავშირის სამართალში, ასევე საერთაშორისო საჯარო სამართლის სპეციფიკურ სფეროებში.